



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 471/ს
21/11/2022

471-21-4-202211211014



ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალეში, მდ. ფოცხოვის წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალეში, მდ. ფოცხოვის წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალეში, მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე. საკვლევ უბანზე განვითარებული ნაპირის ინტენსიური ეროზიული პროცესების გამო მნიშვნელოვნად ირეცხება მდინარის ნაპირი, რაც საფრთხეს უქმნის მიმდებარე ტერიტორიას. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია 764 მ სიგრძის ეროზიის საწინააღმდეგო გაბიონის ნაგებობის მოწყობა. საპროექტო გაბიონის GPS კოორდინატებია: X - 323964.260; Y - 4612681.308. X - 323986.703; Y - 4612674.036. X - 324021.501; Y - 4612662.791. X - 324051.421; Y - 4612653.123. X - 324076.525; Y - 4612641.656. X - 324080.866; Y - 4612640.875. X - 324125.413; Y - 4612635.072. X - 324177.053; Y - 4612630.669. X - 324217.567; Y - 4612635.706. X - 324242.039; Y - 4612657.434. X - 324281.246; Y - 4612668.608. X - 324328.369; Y - 4612673.483. X - 324352.406; Y - 4612713.336. X - 324400.000; Y - 4612714.929. X - 324416.419; Y - 4612712.176. X - 324438.153; Y - 4612708.525. X - 324468.575; Y - 4612708.098. X - 324499.916; Y - 4612707.650. X - 324569.238; Y - 4612662.944. X - 324600.653; Y - 4612627.927. X - 324605.05; Y - 4612600.635. X - 324648.066; Y - 4612569.576. X - 324697.215; Y - 4612545.600. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 290 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გაბიონის ნაგებობა წარმოდგენილი იქნება 6.0X2.0X0.3 მ და 3.0X2.0X0.3 მ ზომის ლეიბებზე დაფუძნებული სამიარუსიანი ვერტიკალური კედლის სახით. ნაგებობის დასაწყისში 2.0X1.0X1.0მ 6 ცალი ყუთისაგან მოეწყობა ე.წ. ჩამკეტი კბილი. გაბიონის ყუთები და ლეიბი მოქსოვილი იქნება მოთუთიებული გალვანიზებული მავთულით (დიამეტრით 2.7 მმ). გაბიონის უჯრედის ზომა შეადგენს 8X10 სმ-ს. გაბიონის ყუთების შევსება მოხდება ლოდებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდამცავი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ფოცხოვის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ფოცხოვის სიგრძეა 35 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 1 331 კმ². დოკუმენტის თანახმად, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის საანგარიშო ხარჯი შეადგენს 531 მ³/წმ-ს. მდ. ფოცხოვის კალაპოტის წარეცხვის საშუალო სიღრმე 3.04 მ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე მდ. ფოცხოვის საკვლევ უბანზე – 4.9 მ-ს შეადგენს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება თითო ექსკავატორი, ბულდოზერი და ავტოთვიტმცლელი. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ნაპირდაცვითი სამუშაოების პირველ ეტაპზე განხორციელდება ქვაბულის მისაღებად გრუნტის ექსკავატორით დამუშავება. დამუშავებული გრუნტი დროებით განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე, შემდგომი გამოყენებისთვის. შემდეგ ეტაპზე მოხდება ლეიბის ქვეშ ზედაპირის მოსწორება და გეოტექსტილის დაფენა, რომელზეც შემდგომ განთავსდება გაბიონის ყუთები. პირველი იარუსი ზომით – 1.5X1.0X1.0 მ (სულ 2 280 მ³) და 2.0X1.0X1.0 (სულ 1 548 მ³), მეორე იარუსი ზომით – 6.0X2.0X0.3 (სულ 1 404 მ³) ხოლო მესამე იარუსი ზომით – 3.0X2.0X0.3 (სულ 687.6 მ³). შემდეგ ეტაპზე მოხდება ქვაბულიდან ამოღებული მასალით უკუყრილის მოწყობა, ხოლო ბოლო ეტაპზე დარჩენილი გრუნტის ადგილზე მოსწორება ბულდოზერით. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულია 4 თვე, ხოლო მშენებლობაზე დასაქმდება 15 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონარული ობიექტები გამოყენებული არ იქნება. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო იქნება სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი, შესაბამისად მშენებლობის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ხმაურით და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას ექნება დროებითი ხასიათი. ამასთან, მაღალი ხმაურის გამომწვევი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ფოცხოვისა და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდ. ფოცხოვის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და სამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალურ წყლებს, მათი შეგროვება მოხდება ბიოტულეტების ან საასენიზაციო ორმოს საშუალებით, რომელიც მშენებლობის დასრულების შემდგომ, გატანილი იქნება შესაბამის სამსახურის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან, შესაბამისად რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ანთროპოგენური დატვირთვისა და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო არეალი ძალზედ ღარიბია ცხოველთა სახეობების მხრივ. აქ ფიქსირდება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები.

საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის დანაოჭებული სისტემის ოლქის, ახალციხის დეპრესიის რაიონს. მდ. ფოცხოვის ხეობა ძირითადად აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური გრუნტებით, რომლებიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია კენჭნარითა და ხრეშით, ქვიშის შემავსებლით. მდინარის კალაპოტი და ნაპირები აგებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური კენჭნაროვანი გრუნტებით. საკვლევ უბანზე გამოიყო ერთი გეოტექნიკური ელემენტი. მდინარის კალაპოტი და ნაპირები აგებულია კენჭნარითა და ხრეშით, ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული, საშუალო სიმკვრივის. საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება II კატეგორიას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 და 9.13 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, დაბა ვალეში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ფოცხოვის წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო, ასევე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად,

უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო